ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 3-12/14091501-16 08 04 2014 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, ალ ყაზბეგის გამზ. №27-ში (საკ.კოდი №01.10.15.011.016) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (ლუდის ბარი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №1185231 24.03.2014წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, ალ ყაზბეგის გამზ. №27-ში (საკ.კოდი №01.10.15.011.016) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„1-6" ფასადზე 1-2 მონაკვეთში შეცვლილია +3.30 ნიშნულზე ასასვლელი კიბის კონფიგურაცია, კოლონა გასალესი და შესაღებია, ვიტრაჟის ქვეშ ფილა გასალესი და შესაღებია. 3-4 მონაკვეთში შეცვლილია კარის ნახატი, შეცვლილია საჩრდილობლის კონფიგურაცია. 5-6 მონაკვეთში შეცვლილია მინის მოაჯირის კონფიგურაცია. ±0.00 ნიშნულზე 1-6 მონაკვეთში ფრამუგებს მონაცვლებული აქვთ ადგილები. 6-6 ღერძთან შეცვლილია ვიტრაჟის ნახატი. +6.80 ნიშნულზე 2-4 მონაკვეთში შეცვლილია საჩრდილობლის კონფიგურაცია. ფასადზე არ არის მოწყობილი სარეკლამო აბრა.

„6-1" ფასადზე 5-3 მონაკვეთში მოწყობილია წყალშემკრები მილები. 1-1 ღერძთან ცოკოლის კედელი შესავსებია.

„გ-ა" ფასადზე ბ-გ მონაკვეთში მინის მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია ლითონის.

„ა-გ" ფასადზე შეცვლილია მინის მოაჯირების კონფიგურაცია, ხოლო +3.30 ნიშნულზე არ არის სრულად მოწყობილი აღნიშნული მოაჯირები. შეცვლილია ღია ტერასის გადახურვის კონფიგურაცია.

შეცვლილია ფასადების მოპირკეთება.

±0.00 და +3.30 ნიშნულებზე 2-3 და ა-ბ მონაკვეთებს შორის კიბესთან დამატებულია კოლონა, შეცვლილია შიდა კიბის კონფიგურაცია.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 23.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის საკრებულოს №13-62 23.12.2011წ. გადაწყვეტილების, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „პ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „კოლხა 2012"-ს, თამარ მარტაშვილს, ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, ალ ყაზბეგის გამზ. №27-ში (საკ.კოდი №01.10.15.011.016) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (ლუდის ბარი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/14091501-16 03.04.2014წ. განცხადება.

უფროსის მოადგილე **ვ. მუჯირიშვილი**